ნიკოლოზ კაცაძე

Kaunas University of Technology, Lithuania

კავკასიის ბიზნესის სკოლა

,,ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი კავკასიის უნივერსიტეტში მოხვედრის შემდეგ, Erasmus + ის გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის მიღებაა. 1 სემესტრი გავატარე კაუნასის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (Kaunas University of Technology). უნივერსიტეტმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ყველაფერი ჩემთვის ახალი გამოწვევა იყო - გარემო, ხალხი, მათი დამოკიდებულება ჩვენდამი, სწავლების ევროპული მეთოდი, ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუდენტებთან.

ერთად ვსწავლობდით, ერთად ვმოგზაურობდით, ვუზიარებდით ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის ტრადიციებსა და კულტურას, სწავლის მეთოდებს და ა.შ. კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ჩემთვის გახდა ცხოვრების ახალი რიტმი, ახალი გამოწვევების დასაწყისი. იქ სწავლება იმაზე საინტერესო აღმოჩნდა ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი. Erasmus + პროგრამამ დამეხმარა როგორც პიროვნულ, ისე პროფესიულ განვითარებაში და ვიმედოვნებ უფრო ბევრ სტუდენტს მიეცემა ამ პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა.''